

*ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და
საშუალო საწარმოებისათვის*

შპს გეოპროექტი პლიუსი

2023 წ. 31 დეკემბერი

ს ა რ ჩ ე ზ ი

1. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 3 გვ.
2. სრული შემოსავლისა და კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება 4 გვ
3. ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 5-9 გვ.

შპს გეობითუმ პლიუსი
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრისთვის

აქტივები	შენიშ- ვნები	31/12/2021 ლარში	31/12/2022 ლარში	31/12/2023 ლარში
ფულადი სახსრები	3	14	4 341	25 025
სავაჭრო მოთხოვნები	4	940	1 418 819	417 110
სხვა მოთხოვნები	5	970	340 000	20 000
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები (მარაგები)	6	0	0	0
სხვა მიმდინარე აქტივები	7	<u>1 175</u>	<u>1 565</u>	<u>0</u>
სულ მიმდინარე აქტივები:		<u>1 926 243</u>	<u>1 764 725</u>	<u>462 135</u>
სულ აქტივები		<u>1 926 243</u>	<u>1 764 725</u>	<u>462 135</u>
ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი				
სავაჭრო ვალდებულებები	8	1 624	141 219	120 405
მოკლევადიანი სესხები	9	703 900	1 260 935	0
სხვა ვალდებულებები	10	7 664	7 664	3 610
სულ ვალდებულებები		<u>713 188</u>	<u>1 409 818</u>	<u>124 015</u>
საკუთარი კაპიტალი				
გაუნაწილებელი მოგება	11	<u>1 213 055</u>	<u>354 907</u>	<u>338 120</u>
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		<u>1 926 243</u>	<u>1 764 725</u>	<u>462 135</u>

შპს “გეობითუმ პლიუს“-ის დირექტორი:

გია ადამია



შპს გეობიტუმ პლიუსი

2023 წ. 31 დეკემბერს დასრულებული წლის სრული შემოსავლისა და კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება

	შენიშვნები	2023 ლარში	2022 ლარში
ამონაგები	12	6 492 280	5 539 382
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი		145 519	0
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		(6 106 453)	(5 226 009)
საერთო მოგება		531 346	313 373
დასაქმებულთა ანაზღაურება	13	(18 878)	(7 653)
საპროცენტო ხარჯი		(108 992)	(55 928)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	14	(9 117)	(10 856)
საოპერაციო მოგება		394 359	238 936
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან		(0)	(7 302)
მოგების გადასახადის ხარჯი		(61 672)	(163 467)
მიმდინარე წლის მოგება		332 687	68 167
საკუთარი კაპიტალი წლის დასაწყისში		354 907	1 213 055
განაწილება მესაკუთრეებზე (დივიდენდი)		(349 474)	(926 315)
გაუნაწილებელ მოგებაში (წლის მოგება)		332 687	68 167
საკუთარი კაპიტალი წლის ბოლოს		338 120	354 907

შპს “გეობიტუმ პლიუს“-ის დირექტორი:

გია ადამია



შპს გეობიომ პლიუსის

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2023 წ. 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

1. ზოგადი ინფორმაცია

“გეობიომ პლიუსი” შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში, ქ. თბილისში.

კომპანიის იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, ნ. ხუდადოვის ქ. №3 კორ 2, სართ 1.

საიდენტიფიკაციო ნომერი: 402092962.

რეგისტრაციის თარიღი: 09/07/2018

ძირითადი საქმიანობა: ნავთობის ბიტუმით ვაჭრობა.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული *მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის* შესაბამისად. იგი წარმოდგენილია საქართველოს ფულად ერთეულში (ქართულ ლარში).

ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა.

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადში შესული ცვლილებები, რომლებიც ეფექტურია 2017 წლის 01 იანვრიდან

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები. ეს ცვლილება შეეხო მოგების გადასახადის წარდგენას.

2017 წლის ახალი მოდელის მიხედვით მოგების გადასახადის განაკვეთი განისაზღვრა ნულოვანი განაკვეთით, იმ შემთხვევაში თუ არ მოხდება მოგების განაწილება და დარჩება კომპანიაში გაუნაწილებელი მოგების სახით, ხოლო 15%-ით დაიბეგრება დივიდენდად განაწილებული მოგება, მაშინ როცა ძველი მოდელის მიხედვით კომპანიების მოგება იბეგრებოდა 15%-ით, მიუხედავად იმისა, ეს მოგება გაიცემოდა დივიდენდად, თუ კომპანიაში რჩებოდა გაუნაწილებელი მოგების სახით. 2017 წლის 1 იანვრიდან კომპანიები იბეგრებიან მოგების გადასახდით, თუ მოხდება მოგების განაწილება (დივიდენდის გაცემა) აღნიშნული ცვლილების გამო, არ წარმოიქმნება დროებითი სხვაობები კომპანიის აქტივებსა და ვალდებულებებში, ანგარიშგებაში, ფინანსური და საგადასახადო ბაზის საფუძველზე. შესაბამისად გადავადებული საგადასახო აქტივი და ვალდებულება არ წარმოიქმნება 2017 წლის 01 იანვრიდან.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

ცვეთის ღარიცხვა ხდება ნარჩენი ღირებულებით შემცირებული აქტივების თვითღირებულების

განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, კლებადი ნაშთის მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

მანქანა-დანადგარები და მოწყობილობა

20 %

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგეო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქვტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ანალოგიურად, ყოველი საანგარიშგეო თარიღისათვის შეფასდება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გაუფასურება, რისთვისაც სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის თითოეული ერთეულის (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება შეუდარდება მისი დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს. თუ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ერთეული (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფი) გაუფასურებულია, მისი საბალანსო ღირებულების შემცირება ხდება პროდუქციის დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შემთხვევაში – პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იჯარა

ჩვეულებრივი (საოპერაციო) იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება ზარალში, როგორც იჯარის ხარჯი, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება ინდივიდუალური თვითღირებულების მეთოდით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია ხორციელდება როგორც ჩვეულებრივი საკრედიტო, ასევე წინასწარი გადახდის (საავანსო) პირობებით. დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. იმ შემთხვევაში, როდესაც საკრედიტო ვადები აღემატება ჩვეულებრივ საკრედიტო ვადებს, მოთხოვნების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ყოველი საანგარიშგეო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების

ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო მოთხოვნები გადაანგარიშდება ქართულ ლარში, საანგარიშგებო თარიღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება ქართულ ლარში, საანგარიშგებო თარიღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

3. ფულადი სახსრები

	31/12/2021	31/12/2022	31/12/2023
	ლარში	ლარში	ლარში
ფულადი სახსრები სალაროში	7 931	3 660	1 161
ფულადი სახსრები საბანკო ანგარიშებზე	6 810	681	23 864
	<u>14 741</u>	<u>4 341</u>	<u>25 025</u>

4. სავაჭრო მოთხოვნები

	31/12/2021	31/12/2022	31/12/2023
	ლარში	ლარში	ლარში
სავაჭრო დებიტორები	940 327	1 418 819	417 110
	<u>940 327</u>	<u>1 418 819</u>	<u>417 110</u>

5. სხვა მოთხოვნები

	31/12/2021	31/12/2022	31/12/2023
	ლარში	ლარში	ლარში
მოკლევადიანი მოთხოვნები დამფუძნებელი პირების მიმართ	970 000	340 000	20 000
	<u>970 000</u>	<u>340 000</u>	<u>20 000</u>

6. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

	31/12/2021	31/12/2022	31/12/2023
	ლარში	ლარში	ლარში
მზა პროდუქცია (ნავთობის ბიტუმი)	0	0	0
	<u>0</u>	<u>0</u>	<u>0</u>

7. სხვა მიმდინარე აქტივები

	31/12/2021	31/12/2022	31/12/2023
წინასწარ გადახდილი გადასახადები	1 175	1 565	0
	1 175	1 565	0

8. სავაჭრო ვალდებულებები

	31/12/2021 ლარში	31/12/2022 ლარში	31/12/2023 ლარში
სავაჭრო ვალდებულებები	1 624	141 219	120 405
	1 624	141 219	120 405

9. მოკლევადიანი სესხები

	31/12/2021 ლარში	31/12/2022 ლარში	31/12/2023 ლარში
ბანკისგან მიღებული სესხები	703 900	1 260 935	0
	703 900	1 260 935	0

10. სხვა ვალდებულებები

	31/12/2021 ლარში	31/12/2022 ლარში	31/12/2023 ლარში
ფ/პ სესხზე დარიცხული პროცენტი	7 664	7 664	0
საგადასახადი ვალდებულებები	0	0	3 610
	7 664	7 664	3 610

11. გაუნაწილებელი მოგება

გაუნაწილებელი მოგება შეიცავს მიმდინარე და წინა პერიოდების აკუმულირებულ მოგებას.

12. ამონაგები

	2023 ლარში	2022 ლარში
საქონლის გაყიდვა	<u>6 492 280</u>	<u>5 539 382</u>
სხვა	<u>145 519</u>	<u>0</u>
	<u>6 637 799</u>	<u>5 539 382</u>

13. დასაქმებულთა ანაზღაურება

	2023 ლარში	2022 ლარში
თანამშრომელთა დარიცხული ხელფასი	<u>18 878</u>	<u>7 653</u>
	<u>18 878</u>	<u>7 653</u>

14. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი

	2023 ლარში	2022 ლარში
სოციალური დანარიცხები	378	153
საბანკო მომსახურების ხარჯი	7 949	10 103
სხვა საოპერაციო ხარჯი	<u>790</u>	<u>600</u>
	<u>9 117</u>	<u>10 856</u>

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2024 წლის 19 სექტემბერს.

შპს “გეობიტუმ პლიუს“-ის დირექტორი:

გია ადამია

